თამაში - wer, wie, was?(ვინ, როგორ, რა?)



სამიზნე ჯგუფი: A1-B1

ორგანიზების ფორმა: ინდივიდუალური/ფორუმი

თამაშისთვის საჭირო რესურსი: ქაღალდის პატარა ფურცლები, კალათი/ყუთი ან ქუდი

თამაშის ხანგრძლივობა: 15-20 წუთი

თამაშის აღწერა:

მასწავლებელი თითოეულ მაგიდაზე ალაგებს პატარა ფურცლების დასტას (მაგ. 6-8-ად დაჭრილ თაბახის ფურცლებს),მოსწავლეები ქაღალდის ფურცელზე 5 წუთის განმავლობაში ინდივიდუალურად აგროვებენ, რაც შეიძლება მეტ შეკითხვას, თითოეული შეკითხვა უნდა დაიწეროს ცალკე ფურცელზე, ანუ ერთ პატარა ფურცელზე ერთი შეკითხვა. შეკითხვის ადრესატი სხვადასხვა მოსწავლე უნდა იყოს.

დავალების ინსტრუქცია:

Schreibt innerhalb von 5 Minuten so viele Fragen wie möglich einzeln auf kleine Zettel. Jede Frage soll an einen bestimmten Mitspieler adressiert sein.

Zum Beispiel:

Tekla, was machst du Montagabend?(A1)

Gio, wann ist dein Geburtstag? (A1)

Anna, über welches Geschenk hast du dich am meisten gefreut? (A2/B1)

პედაგოგი გადახედავს ჩამოწერილ შეკითხვებს, შეასწორებს შესაძლო შეცდომებს და შეაგროვებს ფურცლებს კალათში, ყუთში ან თუნდაც ქუდში. მოსწავლეებმა რიგრიგობით უნდა ამოიღონ დაკეცილი ფურცლები (თითო მოსწავლე თითო ფურცელს იღებს) და წაიკითხონ შეკითხვები, ამასთანავე, დაასახელონ შეკითხვის ადრესატიც. ამ უკანასკნელმა კი შეკითხვას უნდა გასცეს პასუხი.

რესურსის მიზანი:

- მოსწავლეები შეძლებენ შეკითხვების ჩამოყალიბებას და შეკითხვებზე პასუხის გაცემას.
- ასევე, გარკვეულწილად, ივარჯიშებენ მართლწერასა და აზრის თავისუფლად გადმოცემაში.